№ 55 მარტი 11, სამშაბათი 1886 მარტი 11, სამშაბათი № 55

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყველა განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის სავაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სამპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 მარტიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

ტფილისი, 10 მარტს

დღეს ევროპაში სამი უმთავრესი სახელმწიფო, გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი, რომელთაც დროთა ვითარებამ თითქმის ერთ-ნაირი შინაური საქმეები აუჩინა გადასაწყვეტად და სამი სახელმწიფო კაცი: გერმანიაში—ბისმარკი, ინგლისში—გლადსტონი და საფრანგეთში—ფრეისინე, მოწოდებულნი არიან თავ-თავიანთ ერისაგან ეს დროთა ვითარებისაგან წარმომდინარი საქმე, თითქმის ერთ-გვარი, ერთ-არსისა და ერთ-სახისა გადაჰსწყვიტონ. ეჭვი არ არის, რომ ეს ერთი და იგივე საქმე ამ სამს სხვა-და-სხვა ნაირ სახელმწიფოში ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას ვერ მოელოდინება. ხოლო თვითონ გადაწყვეტილება ისე საინტერესო არ არის, როგორც ის საფუძველი, სისტემა, რომელსაც ამ შემთხვევაში თვითეული მათგანი დაადგება. საქმე იმისთანა თვისებისაა, რომ უსათუოდ თეორია პრაქტიკით უნდა განახორციელონ, განყენებული აზრი ცხოვრებაში გადმოიტანონ და საფუძვლად დაუდონ.

ეს საქმე მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმეა. საფრანგეთში დეკაზვილის არეულობამ წამოაყენა ეს საქმე, ინგლისში მუშათა ანდრევამ დიდ-ქალაქებში და გერმანიაში სოციალ-დემოკრატების გაძლიერებამ პარლამენტში.

დეკაზვილში ქვა-ნახშირის მდიდარარი მადნებია პირი შეჰკრეს, თუ სათასურს არ მოგვიმატებენ და სამუშაო დღეს არ შეგვიმოკლებენო, აღარ ვიმუშავებთო. საფრანგეთში მუშათა მომხრე დასი ძლიერია და ამ დასმა მუშებს სარჩლი გაუწია. ამა დასის წარმომადგენელნი არა ერთი და ორია ეხლანდელს საფრანგეთის პარლამენტში. ამიტომაც ეს დეკაზვილის საქმე უქმად არ ჩაუვლის მთავარს-მინისტრს ფრეისინეს და ეხლანდელს პარლამენტსა. ერთმაც და მეორემაც ან ჰო უნდა ჰსთქვას, ან არა მუშათა ყოფა-ცხოვრების განკარგების თაობაზედ. «არას» თქმა შეუძლებელია და მთელი «ჰოს» თქმაც ძნელია. ძნელია იმიტომ-რომ ეგრედ წოდებული «ბურჟუაზია» ყალხზედ შესდგება და დღეს ამ ბურჟუაზიას დიდი ღონე აქვს და მნიშვნელობა სამინისტროს მტკიცედ ფეხზე დგომისა და დღეგრძელებისათვის. «არას» თქმა კიდევ იმიტომ არის შეუძლებელი, რომ მუშების მოსარჩლე დასი, როგორც მთელს საფრანგეთსა, ისეც თვითონ პარლამენტში რიხიანი, ფხიანი და კარგა მოზდილი დასია. იმოდენად აქვს ამ დასს ყოველივე ეს თვისება, რომ შეუძლებელია ეხლანდელი სამინისტრო და პარლამენტი თავის მოძღვრებისაგენ არ გადმოხაროს. ამ სახით საფრანგეთი მუშათა საქმეს საფუძვლად ამათს მოძღვრებას დაუდებს ცოტად, თუ ბევრად. ეს, ჩვენის ფიქრით, უეჭველია.

სულ სხვას საფუძველს იხმარებს ინგლისი, ინგლისი, რომელსაც სახელმწიფო მოძღვრებად აღიარებული აქვს თვით-მართველობა ერისა და რომელსაც ეგ თვით-მართველობა ყოველის საზოგადოებრივის წყლულის წამლად მიაჩნია დღესაც. ეს ცხადია. ამ ბოლოს ხანებში ინგლისის პარლამენტის წევრმა ბ-ნმა დასონმა შეიტანა წინადადება, რომ სახელმწიფომ აუჩინოს უსაქმოდ დარჩენილ მუშათა სახელმწიფო სამუშავო რამ. დიდი ბაასი ასტყდა ამაზედ და თვით-მართველობის დეპარტამენტის თავ-მჯდომარემ ჩამბერლენმა ამ ბაასში ყველაზედ მომეტებული მონაწილეობა მიიღო და მისის სიტყვის ზედ-მოქმედებას აბრალებენ, რომ დასონმა თავისი წინადადება უკანვე წაიღო. ჩამბერლენმა იმაზედ დააფუძნა თავისი სიტყვა და რჩევა, რომ მუშათა უსაქმობისა და მათთათვის სამუშავოს აღმოჩენა სჯობია თვით-მართველობის თაოსნობას მიენდოსო, თვით-მართველობა უკედ მოუპოვებს მუშებს საქმესაო და უკედ დასდებს წამალსა დღევანდელს სატკივარსაო. ეს სიტყვა როგორღაც არ უხდება თვით ჩამბერლენის მოძღვრებას, რომელიც დიდი ხანია ჰქადაგებს, რომ მუშათა უნუგეშო ყოფა უმამულობიდამ წარმოსდგებაო; ამისი წამალი სოფლის მამულების წვრილ-წვრილად განაწილება მუშათა შორისო. ჩამბერლენი დღესაც ამ აზრს ადგია და თუ პარლამენტში ეს არ უხსენებია, უსათუოდ თვით-მართველობის იმედით, რომელიც დღეს იქნება, თუ ხვალე ამ მხრით თაოსნობას იკისრებს. ამ სახით ინგლისი მუშათა საქმეს საფუძვლად დაუდებს თვის საყვარელს მოძღვრებას, ესე იგი, თვით-მართველობის ყოვლად შემძლებლობას. ეგევე წამალი დღეს გლადსტონს ხელთ-უპყრია ირლანდიის დასაკმაყოფილებლად და მის სატკივარის მოსარჩენად.

სულ სხვა საფუძველს ადგია ბისმარკი. მისის აზრით, ყოველივე სახელმწიფოს ძლიერს ხელში უნდა იყოსო, ყოველივე მის ინტერეებს უნდა ქვეშ ამოუდგესო. სახელმწიფო ინტერესი ითხოვს მუშათა ხალხი მის ხელთ იყოს და ყოველთვის მისი შემყურებელიო და სახელმწიფო მონოპოლიები მოიგონა, თუმცა მარცხი მოუვიდა ამაებში, როგორც ამ უკანასკნელ დროს გვაუწყებენ გაზეთები არაყისა და სპირტის მონოპოლიის თაობაზედ. სახელმწიფო ინტერესი ითხოვსო, რომ პოლიაკები პოზნანში არ იყვნენო და გაიყვანა ის შემაძრწუნებელი კანონი პოლიაკების განდევნისა, მამა-პაპეულ მამულებიდამ ძალად აყრისა და გაძევებისა.

ამ სამის თეორიისაგან რომელი დაიჭერს თავს ევროპაში, ევროპის შინაურს ცხოვრებაში—ამას დრო გამოაჩენს. ჩვენ აქ მთელს ევროპას ვახსენებთ იმიტომ—რომ ამ შემთხვევაში ერთის ცდა მეორისათვის ჭკვაა და ამ საბუთით გამარჯვება სამში ერთის თეორიისა მეტად საინტერესო უნდა იყოს ყველასათვის.

ი.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისი სწორედ მკითხავების ბუნაგია. ეხლაც ერთი თათარი-მკითხავი გამოგვიჩენია საიდგანღაც. აი

ფელეტონი

ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში

სასამართლოს წარმოება. თემი. ოჯახი.

(დასასრული *)

«ულუფხულოდ» სახლში შეძღოლა, რომელიც წინად მოვიხსენიეთ, მდგომარეობდა შემდეგში. ბრალდებული მახვშის პირით შეუთვლიდა დაჩაგრულს ხევწნის მინაგვარად, რომ მას ეკადრა ბრალდებულის სახლში მობრძანება თავის სახლის-კაცებითა—და თუ ესენი არ ჰყავდა—სხვა მონათესავეებითა. ეს მიპატიჟება დაჩაგრულისა უტყუარი ნიშანი და საბუთი იყო იმისი, რომ დამნაშავე მას გულ-ნაკლულად არ გაუშვებდა თავის სახლიდგან, ე. ი. დანაშაულობის კვალობაზე მისცემდა შესაფერს საზღაურსა. დაჩაგრული იშვიათად იუარებდა ამას, თუმცა ზოგან და ზოგჯერ უარსაც შეუთვლიდა ხოლმე პასუხად. დათანხმებული დაჩაგრული, ანუ უკედ ესთქვათ, მომჩივანი და მისი სახლი-კაცებ-ნათესავები მიდიან დამნაშავის ოჯახში. მათ, რასაკვირველია, წინ მიუძღვით საზოგადოების მახვში. მივიდნენ დამნაშავის სახლში; მას ხარჯი მზათა აქვს. დადგეს ტაბაკი; ზედ დადვეს ხორაგი: პური, ყველი, ხორცი... ჰამა არავის დაუწყვია; თითო კათხა, ან ქარახსი არაყი ჩამოარიგეს და ხელში უჭირავთ. დამნაშავე სავსე კათხით მიდის მახვშისა და დამნაშავის წინაშე და იჩოქებს; დაჩოქილი იგი პირველად სინანულს აღიარებს თავის დანაშაულობაში, მერე ასახელებს საჩუქარს, საზღაურს, რომლის მიცემაც გადასწყვიტა თავის გულში და ბოლოს მორჩილად ითხოვს, რომ მომჩივანი შეურიგდეს. თუ მომჩივნის და მისი მიმყოლ კაცების აზრით საზღაური ცოტა იყო დანაშაულის კვალობაზე, მაშინ იგინი სმა-ჭამას ხელს არ ჰკიდებდნენ. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მომჩივანი, საზღაურის მომატებას თხოულობს. მეტი გზა არ იყო, უნდა მოემატა, რადგანაც სახლში მიპატიჟების შემდეგ მომჩივნის მოურიგებლად გაშვება მეორე დანაშაულობას, სასაცილოდ აგდებას ნიშნავდა, ეს ძნელი გასაბედავი იყო. უფრო ხშირად ისე მოხდებოდა ხოლმე, რომ დამნაშავე პირველადვე შეაძლევდა მომჩივანს უხვს საზღაურს, რომელზედაც კრინტსაც ვერ გასძრავდა და კიდეც რომ გაეძრა მახვში იქვე არ უჯდა; იგი წრეს გარე გასვლის ნებას არავის არ მისცემდა. ვთქვათ, მომჩივანი ყაბულს გახდა საზღაურზე. მომჩივანი დაჩოქილ დამნაშავეს ადგომის ნებას აძლევს, სცლიან ორივე არაყით სავსე კათხებს, ჰკოცნიან ერთმანერთს და მერე თავ-თავის ადგილას სხდებიან. ამის შემდეგ დანარჩენებიც იწყებენ სმა-ჭამას. ნახარჯევს (ნასადილევს, ან ნავახშმევს) საჩუქარს, ესე იგი, საზღაურს თანვე გაატანდენ მომჩივანს, თუ მოძრავი ქონება იყო, უძრავ ქონებას კი მერე, როცა მოეხერხებოდათ, მაგალითებრ: ყანას, სათიბს მიზომვა უნდოდა და თუ ზამთარში იყო მორიგება, მაშინ მიზომა არ შეიძლებოდა. მეორე დღეს მახვში მოჩხუბართ ეკკლესიაზე ერთგულობის ფიცს მიაღებინებდა და მორიგება გათავებული იყო. აქ უნდა შევნიშნო, რომ არც ერთი ფორმა მორიგებისა ისე არ აკმაყოფილებდა ტოლობის, თანასწორობის მძებნელს სვანს, როგორც ეს უკანასკნელი. სვანები ამაზე ამბობენ: სხვა გვარი სამართალი ყოველს მომაკვდავს ეძლევა, ამ გვარი კი მხოლოდ ზოგიერთს. სასამართლოს წარმოებაში არა მცირედი ადგილი ეჭირა ფიცს. სვანურ ჩვეულებითმა მართლიერებამ იცის სამ-გვარი ფიცი: *a)* ფიცი ერთ-გულობისა (ნაირთქულემი მაღვრა, *) ნაბან) *b)* ფიცი ტოლობისა, თანასწორობისა (ტოლობა მაღვრა) და *c)* გამართლების, განწმენდის ფიცი (ლიმწოდალე მაღვრა).

როგორც ზემოდაც არის ნათქვამი, ერთგულობის ფიცი იყო დასასრულის წერტილი, გვირგვინი მორიგებისა მოჩხუბართ შორის. ამ ფიცის შემდეგ უწინდელს მტრებს მტრობა გულიდამ უნდა ამოერეცხათ. ვთქვათ, ორმა კაცმა შეურაცხება მიაყენა ერთმანეთს სიტყვით, გინა საქმით. თითოეული ამათგანი თავის-თავს სახავს «უფრო» (ხოშა) შეურაცხ-ყოფილად, დაჩაგრულად. როცა საქმე ამ გვარად გამოურკვეველი იყო, მაშინ წაჩხუბებულნი მახვშის საშუალებით რიგდებოდენ ამ სახით: მიდიოდენ ადგილის ეკკლესიაზე და შემდეგს ფიცს აძლევდნენ ერთი მეორეს: «გორგი! (სახელს ახსენებს) დაიწყებდა ერთი მათგანი—ისრე ამ ხატის (ხატი გამოსვენებული იყო ეკკლესიიდან) შემეწიოს, როგორათაც მე შენგან ბევრად უფრო სირცხვილეული (შგურარ) ვარ, მინამ შენ ჩემგან...» ახლა მეორე ეტყოდა «ბადრი! ამ ხატის მადლმა, რომ ჩემის აზრით მე უფრო დაჩაგრული ვარ შენგან, მინამ შენ ჩემგან». აქვე ერთგულობას დაიფიცავდენ და თავდებოდა საქმე. აი, ეს იყო ტოლობის ფიცი. ესრეთ-წოდებული გამართლების, განწმედის ფიცი (очистительная присяга) იხმარებოდა შემდეგს ორს შემთხვევაში:

a) როდესაც ადგილი (მცირე ფასის), ან მისი სამზღვრები, გინა სხვა მოძრავი ქონება ხდებოდენ საცილობლად, სადაოდ. მაგალითებრ, ერთი პირი ან რამოდენიმე ამბობს, ესა და ეს ადგილი, ამა და ამ სამზღვრებში ჩემიაო, მეორენი კი თავისად სთვლიან; მაშინ კი სიმართლის ასახსნელად ან ერთს უნდა მიეღო ფიცი—მარტო,—თუ მცირე ადგილზე, ნივთზე იყო ცილობა, ანა და ერთის ან რამდენისამე კაცითა, რომ ესა და ეს ადგილი, ნივთი ჩემია,—ანა და მეორე მხარეს ამავე რიგით და წესით. ამ ფიცზე ორივე მხარე თანახმა უნდა ყოფილიყო. ღირსია შენიშვნისა ის გარემოება, რომ ფიცის მიღებას არა თუ არა ცდილობდა თვითოეული მოცილეთაგანი ე. ი. მე დავიფიცებ და დამანებეო, არამედ ძლიერაც სურდათ, რომ როგორმე აეცილებინათ ფიცი, რადგანაც ამ შემთხვევაში ფიცის მიმღები, სვანების აზრით, ყოველთვის წაგებული, დაჩაგრული იყო,—მისი იქნებოდა საცილობელი ადგილი, ნივთი მაინც, და არ იქნებოდა,—მაინც. პირველ შემთხვევაში იმიტომ, რომ თავის ადგილზე როგორ მოუხდა ფიციო და მეორეში იმიტომ, რომ ფიცს სტეხდა და ეს ხომ ყველაზე უარესიაო, ამბობენ სვანები.

ბ) ამ გვარივე ფიცი იხმარებოდა მა-

---

*) «მაღვრა», — გაფუჭებული ქართული აღიარებაა, «ნაბან» კი იქიდგან წარმოდგა, რომ სასტიკ ფიცის მიღების დროს საფიცარს ხატს დაჰბანდენ და მის ნაბან წყალს ფიცის მიმღებს დაალევინებდენ. (ავტორი)

*) «ივერია», № 51, 1886 წ.

თურმე რა საოცრად მკითხაობს და გულთ-მისნობს. გამოიყვანს ერთს უცხო ცხრა-ათის წლის ყმაწვილს, ფრჩხილებზე რაღაცა წამალს წაუსვამს და ამ ყმაწვილის პირით გიამბობს თურმე შენს ბედს-და-უბედობას. მე ვიყავი მასთან და ყმაწვილიც მევემ წავიყვანეო, გვიამბობს ერთი პირი, მიველი სტოლთან და დავიწყე წერა და მას მივანდე გამოეცნო, რასაცა ვწერდიო. მკითხავმა ყმაწვილს ფრჩხილებზე წამალი წაუსვა და ჰკითხა: რასა სწერსო? ყმაწვილმა უპასუხა: «აბა გაიგოს, რასაცა ვწეროს». პირღია დავრჩიო, გვაუწყა მთხრობელმა: რადგანაც სწორედ იმ სიტყვებსა ვწერდი, რაც ყმაწვილმა სთქვაო. არ არის დასაჯერებელი ეს ამბავი, მაგრამ მოამბე კი გვარწმუნებდა.

⁂ კვირას, 9 მარტს მუსულმანშიიტები თავიანთ ახალ-წლის პირველს დღესა დღესასწაულობდნენ. ეს დღესასწაული ყოველთვის სამის დღით არის ხოლმე. ტფილისში მცხოვრებნი სპარსელნი პირველად თავიანთ კონსულს მიულოცვენ ხოლმე, მიდის მთელი ამქარი ზურნითა და დაფითა. კონსულის სახლი ამ დღეს მორთულ-მოკაზმულია. შარბათით გამოეგებება კონსული და მათგან რამდენისამე სიტყვის მოსმენის შემდეგ, თითონაც წარმოსთქვამს ორიოდე ტკბილს სიტყვას. წლეულსაც, როგორც ყოველთვის, დიდის ამბით იდღესასწაულეს მუსულმანებმა თავიანთი ახალ-წელიწადი. კონსულის შემდეგ ზოგი მუშტაიდის, ზოგი საბატანიკო ბაღში გაემგზავრნენ სასეირნოდ. კონკის ვაგონები გაჭედილი იყო მათგან. ყოველს ნაბიჯზე შეხვდებოდით პირ-მცინარს და მორთულს მაჰმადიანს.

⁂ როგორც გაზ. «Нов. Обоз.»-ს ატყობინებენ ტფილისის საქიმო განყოფილებას გარდაუწყვეტია გასინჯოს ყველა ტფილისის ცხენები, რადგანაც ამ ბოლოს დროს რაღაც ცხენის გადამდები ჭირი დადისო.

⁂ გაზ. «მწყემსის» სწერენ № 10-ში ტფილისიდამ: «ქ. ტფილისის ღარიბ მცხოვრებთ მომეტებული ნაწილი ქართველი მუშა ხალხია, რომელიც დღიურ ლუკმას ძლივ-ძლივობით შოვობს. ეს ხალხი ნივთიერად ისეა შევიწროებული, რომ თავის შვილების გამოზრდა არ შეუძლია. ამიტომაც თბილისის სასწავლებლებში ძვირათ ნახავთ ამ ღარიბ ქართველების შვილებს. ვინ იღებს ამ სკოლებში განათლებას? თბილისის ყველა საშუალ და დაბალ სასწავლებლებში თბილისის გარეშე მცხოვრებლების შვილები სწავლობენ. სასულიერო სემინარია სულ ქალაქის გარეშე მცხოვრებლების შვილებით არის სავსე, ალექსანდროვის ინსტიტუტში ხუთი მოწაფე თუ იქნება ქალაქელი, თორემ სულ გარეშე სოფლების მცხოვრებთა შვილებით არის სავსე. გიმნაზიებზედაც ესვევ შეიძლება ვსთქვათ. ერთის სიტყვით, ამ სასწავლებლებში თბილისის ღარიბ მუშა ხალხის შვილებს ასში თუ ერთს შეხვდებით, ისიც კარგია. ამ მხრით სომხები უფრო წინ არიან ჩვენზე. მათ წინეთაც და დღესაც აქვსთ ბლომად საეკლესიო სამრევლო სკოლები (?), სადაც ღარიბი სომხის შვილები სწავლობენ წერა-კითხვას. მართალია, ამ სკოლებში დიდ სწავლას ვერ იღებენ მოსწავლენი, მაგრამ ცოტა წერა-კითხვას მაინც სწავლობენ და ესეც კარგია. ამ სკოლებში უფრო კარგად წავიდოდა საქმე, რომ ქართულს ენაზე სწარმოებდეს სწავლება. უმეტესად სომხების გლეხ-კაცობას თავის ენად ქართული ენა აქვს მიღებული და საზოგადოდ თბილისში ბევრი არ მოიძებნება ისეთი ოჯახები, სადაც დიდიდამ პატარამდის სომხურ ენაზედ ლაპარაკობდნენ.

მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევენ და სკოლებში აღკრძალული აქვსთ ქართული ენა, წერა-კითხვა და გარდა ამისა ქართულად ლაპარაკსაც უშლიან მოწაფეებს სკოლებში. ამით ისინი დიდ დაბრკოლებას აძლევენ სწავლის საქმეს.

თბილისის ქართველ გლეხ-კაცობას სამაგალითოთ მიაჩნია სომხების სამღვდელოების მოქმედება და ამბობს, რომ სომხის სამღვდელოება უფრო იღწვის თავის მრევლისთვის, სომხის მღვდლები მუქთად ასწავლიან ყმაწვილებს, წიგნებს მუქთად ურიგებენ მოსწავლეთ და გარდა ამისა ერთი ისეთი საზოგადოებაც არსებობს მათში, რომლის საშუალებით ღარიბი კაცის გასათხოვარ ქალებს მზითევსაც აძლევენო. ასე სჯიან ქ. თბილისის ღარიბი ქართველები, და მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ისინი არც კი სტყუიან თავიანთ შეხედულობაში. ამ სომხების სამღვდელოების წყალობით თბილისის ღარიბ მცხოვრებლების შვილებს დიდი შემწეობა ეძლევათ; საეკლესიო სამრევლო სკოლებში ღარიბი სომხების შვილები სწავლობენ წერა-კითხვას და ანგარიშს და ამ მცირე სწავლის საშუალებითაც ლუკმა პურს შოვობენ და უბრალოდ არ დაწანწალობენ ქუჩა-ქუჩა. ჩვენ სამღვდელოებასაც რომ ამ გვარი სკოლები ჰქონდეს გახსნილი ქალაქის ეკლესიებთან, მაშინ ამისთანა სკოლებში ბევრ იმისთანა მშობლების შვილები მიიღებდნენ სწავლას, რომლებთაც შეძლება არა აქვსთ, რომ სხვა სასწავლებლებში შეიყვანონ შვილები და სწავლისთვის ფულები იხადონ. ამ სკოლების უქონლობის გამო უმეტესი ღარიბი ქართველების შვილები უსწავლელნი რჩებიან და ამის გამო იძულებულნი არიან პატარაობიდგან მიეჩვიონ ქუჩა-ქუჩა თრევას და ქურდობას.

თბილისელ მართლ-მადიდებელ ეკლესიებს იმდენი საშუალება მოინახებათ, რომ თითოეულ ეკლესიასთან თუ არა, ზოგიერთან მაინც იქმნეს დაარსებული საეკლესიო-სამრევლო სკოლა. რაც შეეხება სწავლას ამ სკოლებში, ამას კარგათ შეასრულებს ჩვენი ქალაქის სამღვდელოება, რადგან უმეტესი მათგანი სემინარიაში სწავლა მიღებული არიან.

⁂ 9 მარტს ღამეს, პოლიციის მე-10-თე განყოფილებაში სოსინის სახლთან მიუგდიათ ახლად დაბადებული ყმაწვილი დედათა-სქესისა. ყმაწვილი გაგზავნილია საზებიო ინსტიტუტში.

⁂ პოლიციის მე-4-ხე განყოფილებაში ამაღლების ეკლესიიდგან მოუპარავთ გარედ გამოკიდებული ფული. ამ ქურდობაში შენიშნული ტფილისის მოქალაქე სოლომონ უფლისოვი 4 განყოფილების პრისტავის ღოღაძის-მიერ დაჭერილია შავის ფულით ხელში. უფლისოვი გამომძიებლის განკარგულებით ციხეშია დამწყვდეული. იგი ციხეში კიდევ სამჯერა მჯდარა სხვა-და-სხვა ქურდობისათვის.

⁂ 8 მარტს პოლიციის მე-6-სე განყოფილებაში დაიჭირეს ლაგოდეხიდგან გამოქცეული 124 ვლადი-კავკავის პოლკის ჯარის კაცი რადიონ ბელაევი და გარდასცეს კომენდანტის გამგეობის განკარგულებაში.

⁂ 9 მარტს, 1 განყოფილებაში ოლგინის ქუჩაზედ იპოვნეს მიგდებული ყრმა-ქალი ორის-სამის დღის დაბადებული. ყმაწვილი საზებიო ინსტიტუტშია გაგზავნილი.

ნარევი

ერთმა რუსეთიდამ ახალად გადმოსულმა ყმაწვილმა კაცმა თავის ნათესავს ბარათით «სიბრძნე-სიცრუის» წიგნი სთხოვა.

ნათესავმა გამოუგზავნა წიგნი და ხუმრობით მოსწერა:

— სიბრძნეს ხომ იქ ისწავლიდიო, სიცრუეც აქ ისწავლეო და სავსე სწავლა გექმნებაო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ზესტაფონი. გუშინ, 7 მარტს. საღამოს 5—6 საათზედ, დ. ზესტაფონში ძაღლმა დაგლიჯა ორი ყმაწვილი და ერთიც შუა ხნის კაცი, უკანასკნელი ფრანცუზია, გვარად ამალრიკი. იმ ძაღლის მნახველები ამბობენ ცოფიანი იყოო და მოკვლაც გვინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარით, გაიქცაო. ეს შემთხვევა ამალრიკმა იმ საღამოსვე გამოუცხადა აქაურ ექიმს, რომელმაც მაზრის უფროსს სთხოვა განკარგულება მოეხდინა იმ ძაღლის მოსაკლავად. მეორე დღეს ძაღლი ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. ყმაწვილებისათვის რაღაცა წამალი დაულევინებიათ, ამალრიკი-კი ამ დღეებში პარიჟში პასტერთან მიემგზავრება. ყმაწვილებს აქაური წამალი უშველის თუ არა, ამას გაიგებს კაცი მხოლოდ მაშინ, როცა ამ წამალმა იქნება არც კი არგოს და საბრალონი შეიქმნან მსხვერპლად ცოფიანის ძაღლისა.

ამ ერთ კვირაში აქ მოვიდნენ შავიქვის მადნებში სამუშაოთ 68 მუშა-ბერძენი, რომელნიც «ალავერდი»-ს სპილენძის მადნებში მუშაობდნენ. ბერძნებს აქაურ მადნებში მუშაობა ურჩევნიათ, რადგანაც კარგ ფასს და მასთანავე ნაღდად ღებულობენ, იქ კი თურმე მარკებს აძლევდნენ, რომელიც ხურდავდებოდა რამდენიმე ხნის შემდეგ; ხშირად ხვედრი ფულის ნახევარი გვეკარგებოდა მარკების დახურდავებაშიო.

ოქუმი. მთელი თებერვალი ისე გავიდა, რომ სამურზაყანოში საშინელი ქარი ჰქროდა და დიდი ზარალი მისცა ხალხს. ვის სასიმინდე წაუქცია, ვის სახლის სახურავი მოსტაცა და ვინ იცის სად გადასტყორცნა. დაბას ოთხიოდე დუქანი მოაკლდა, რომელიც იმსხვერპლა ცეცხლმა. კიდევ კარგი, რომ ცეცხლის დროს ქარი არა ჰქროდა, თორემ თქვენი მტერი, ოქუმში ერთი სადგო-

---

შინაც, როდესაც ვისმე დასწამდებოდა ქურდობა, იდუმალ ვნების მოტანა სხვისათვის. ამ შემთხვევაში დაწამებულს პირს თავი უნდა გაემართლა ფიცით. საქმის მიხედვით ან მარტო დაწამებულს შეხვდებოდა ფიცი, ანა და გარეშე კაცებსაც უნდა დაეფიცნათ. ხატის წინაშე დაწამებულს ასე უნდა ეთქვა: «ამ ხატის მადლმა, რომ რასაც მეწამებით, იმ საქმეში მე მართალი ვარ». ვთქოთ, საზოგადოებაში ვისმე პირუტყვი, ან რაიმე ნივთი დაეკარგა. საკუთრივ ეჭვი კი არავისზე არა აქვს. ამ შემთხვევაში დაკარგულის საქონლის პატრონი ჩამოატარებდა ყოველს მოსახლის კარზე ხატს, თუ მძიმე საქმე იყო და უბრალო საქმეში კი რაიმე საეკლესიო ნივთს, მაგალითებრ, სურას, ეკლესიის კლიტეს. მოსახლე ვალდებული იყო დაეფიცა ამ ნაირად: «ამის მადლმა (საეკლესიო ნივთს, ან ხატს უთითებდა), ჩემმა ოჯახმა შენის დაკარგულის საქონლის, ნივთის არაფერი იცის». ძველად მაგ-ნაირი კარ-და-კარ ჩამოტარება ხატისა ყოველთვის ამჟღავნებდა საიდუმლო დანაშაულს. გარდა საზოგადოებისა, დამკარგავს სვანს ნება ჰქონდა მთელს სვანეთში ჩამოეტარებინა ხატი, თუ ამას მოითხოვდა შემთხვევა. რაკი ფიცზე მეტი ლაპარაკი აღარ შეგხვდება, ამისთვის აქ შემდეგსაც მოვიხსენიებ: ახლო ნათესავებს ერთი მეორის ნაცვლად ნება ჰქონდათ ფიცის მიღებისა. მაგალითად, მამას შეეძლო შვილის მაგიერ ფიცი მიეღო: ერთგულობისა მტერთან, გამართლებისა და სხვა. ეგევე შეეძლო შვილსაც მამის მაგიერ და ძმას ძმის მაგიერ.

⁂

თემობა ეკუთვნის (თემ, ლამხუბ) უძველესს დროებას, როგორც სვანეთში, ისე ძველს ერებში (ბერძნების *genos*, რომაელების *gens*). ხეობის და სოფლების შემდეგ თემი შეადგენდა სვანეთში მესამე საზოგადოებრივ მსხვილს სხეულს (общественное крупное тѣло). თემი იყო ერთ გვარეულობა, შთამომავლობა საერთო წინაპარისა. ერთ გვარეულობის წევრნი ყოველს ადგილს, მხარეს და ყოველს დროს, რა გინდ ძლიერაც გამრავლებულიყონ, იცავდენ, ინახავდენ ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირს. მაგალითებრ: სადადიანო სვანეთში ლაშხეთის საზოგადოებაში რვა სოფელში, ერთი მეორეზე დაშორებულებში, სცხოვრობს ერთ გვარეულობა—«ონიანი» 60 კომლამდე. ეგენი ერთმანეთს ისე სახვენ, თითქო ძლიერ ახლო მონათესავენი იყვნენ, თუმცა მათი ერთი მეორისაგან დაშორება შორს წარსულს ეკუთვნის. ონიანების თემი ჭირსა და ლხინში განუყრელნი არიან. ლაშხეთელი ჭელიძე ისრე ესტუმრება უშგულელს (თავისუფალ სვანეთში) თავის მეგვარეს, თითქო მათი წინაპრები ახლო განაყოფი იყვნენ. უშგულელი მუშკუდიანი რომ ლახამულას (სადადიშქილიანო სვანეთის უკანასკნელი საზოგადოებაა) მივა, უთუოთ თავის მეგვარეს კითხულობს და ნახვის შემდეგ, თუმცა იგინი პირველად ხედავენ ერთმანეთს, ლახამულელი მუშკუდიანი ისე მიიღებს მას, როგორც ნამდვილს ახლო ნათესავს. მულახელი (თავისუფალ სვანეთში) ჯაჭვლიანი აგეთივე მიღებულია თავის მეგვარესაგან ს. ცხომარში—სადადიშქელიანო სვანეთში. მაგ-გვარ მაგალითებს ბევრ უჩვენებდა კაცი, მაგრამ აზრის დასამტკიცებლად ნაჩვენებიც კმარა. თვითოეული თემის წევრის სამღრთო მოვალეობა იყო გაჭირვების დროს ერთმანეთის შველა, ჩხუბის დროს მოხმარება; გადახდა მაგიერის შეურაცხებისა მტრისადმი: მოკვლით, დაჭრით, დაჭერით და სხვა. სირცხვილიც და სახელიც თემის რომელისამე წევრისა საერთო იყო სრულიად თემისა; ამიტომაც, თუ თემში ვინმე მოკვდებოდა მტრისაგან, ყოველი მოკლულის თემის წევრი შემთხვევისთანავე ჰკლავდა მტერს, დასჭრიდა, დაატყვევებდა. მტერთან მორიგების დროს ჩვეულებითი მართლიერება ამ ნაირად იქცეოდა: თუ მოჩხუბართ თანასწორი ზიანი, ვნება მიაყენეს ერთმანერთს, მაშინ მათი საქმე თავდებოდა ერთგულობის ფიცით; თუ ერთმა მხარემ გადააჭარბა მეორეს ზიანისა და ვნების მოტანით, მაშინ პირველს დაედებოდა მისაზღვევი ჯარიმა. ამ ჯარიმას მთელი თემი იხდიდა, თუ ის პირი თემისა, რომლის მიზეზითაც ჩხუბი ასტყდა, ღარიბი იყო და არ შეეძლო გადახდა ჯარიმისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის ჩხუბის ამტეხს უნდა ეზღო. ჩხუბის დროს თემის წევრი ეხმარებოდა თავისიანებს არა თუ გარეშე პირის, თვით უმახლობელეს ნათესავების წინააღმდეგაც. მაგალითებრ: ჩემს მეგვარეს ჩხუბი მოუვიდა ჩემისავე დედის ძმებთან, ან მათთა შვილებთან, ჩემს დისწულებთან, სიძეებთან და სხვა. მე ვალდებული ვარ იარაღით დავიცვა ჩემი თემის წევრის პატივი და ვეჩხუბო ჩემს ნათესავებს, თუმცა ამ გვარი ქცევა, რასაკვირველია, ძლიერაც მტანჯავს. როცა თემის წევრს მორიგება სურდა მტერთან, თემს უნდა დაჰკითხოდა და ნება აეღო. მორიგების დროს ყოველ მოსახლიდგან თემისა, თვითო კაცი უნდა დასწრებოდა, რომ საერთოდ გაეცათ მტრისათვის პასუხი. თემობაში სიკვდილის, მძიმედ დაჭრის და ცოლის წართმევის მეტს ყველასფერს შეუნდობდნენ ერთმანერთში. თუ ვინიცობაა თემობაში ზემოდ ნაჩვენები სამი მძიმე დამაშაულობა მოხდებოდა, საქმეს თემივე გაათავებდა «თემურად», თემის წესით და არა გარეშე კაცების შემწეობით. თემობაში მიღებულის წესით დაჩაგრულს წევრს თემისას მიესჯებოდა ნახევარი იმ ჯარიმისა (пеня), რომელიც გარეშე მოჩხუბარ პირებთა შორის იყო განსაზღვრული ჩვეულებრივის მართლიერობით. თემობაში ქალის მითხოვება არ შეიძლება ერთმანერთში. თემს აქვს სათემო სალოცავი, სასაფლაო ადგილები, დღესასწაულები და სხვა. ლხინში თემის წევრი ყველაზე უწინ თემს მიიწვევს; არასოდეს არ მოხდება, რომ ლხინში კაცმა თემი გარე დასტოვოს და სხვა ნათესავები მიიპატიჟოს, ჭირშიაც თემს პირველი ადგილი ეჭირა. როცა თემში ვინმე მოკვდება, ყველა მამაკაცები წვერს იპარსვენ—ნიშნად საერთო გლოვიარებისა და მიცვალებულს უსხედან ჭირისუფლად (მეცხვილიელ). უძრავ და მოძრავ (დიდ ფასიანის) ქონებას თემის წევრი იძენდა თემისვე დასწრებით, დაკითხვით. თემის რომელისამე წევრის უძრავი ქონება თემსვე უნდა შეესყიდა. ერთის სიტყვით, არც ერთი ასე თუ ისე შესანიშნავი ამბავი და მოქმედება თემის ცხოვრებაში მთელის თემის მონაწილეობის მიუღებლად არა მოხდებოდა.

მიც არ დარჩებოდა. დადგა მარტი და განუწყვეტლივ წვიმა მოდის.

საზოგადოდ სამურზაყანოში მიღებულია სასიძოსაგან სასძლოს მოტაცება. იშვიათად იქნება—ქალი ისე გათხოვდეს, რომ მოტაცებული არ იქმნას თავის საქმროსაგან,. ეს ვაჟკაცობას ნიშნავს აქაურების აზრით. მაგრამ სამწუხაროდ ამ მოკლე ხანში ეგ ქალების მოტაცება ან უკეთ ვსთქვათ ქალების ქურდობა ძალიან გახშირდა. ამ თუთხმეტის დღის განმავლობაში დ. ოქუმის ახლო-მახლო სოფლებში ექვსიოდე ქალია მოტაცებული. ბრალი მათი, რომ დიდ-მარხვაა ახლა, თორემ გასწევდნენ ფოთისაკენ და იქ დაიწერდნენ ჯვარს. აქაურები გაიძახიან: მოვიტაცებ და ფოთში გვირგვინს ვიშოვნიო და მერე მზდიონ ნათესავებმა და მთავრობამაცო.

სოფ. ჩხერი. (შორაპნის მაზრა) 7 მარტი. წლევანდელი მარტი ჩვენში მაისს წარმოგვიდგენს და არა მარტს. იმისთანა მშვენიერი დღეებია, როგორიც მაისშიაც მცირათ გვინახავს. ტყეებნი სრულიად ამწვანდა. მუშაობა ძრიელ წინ წავიდა. სოფელმა ყურადღება მიაქცია გზების უვარგისობას და დაუწყო კეთება. ეს უსაჭიროესი საგანია სოფლებისათვის. რადგანაც გზის უქონლობით ჩვენი ყოფა შეუძლებელი იყო. ამბობენ, სოფელს განუზრახავს გახსნას ხარაგაულში დამზოგველი საამხანაგო დეპო, სადაც იქმნება დაწყობილი ყოველ გვარი მცხოვრებთათვის უსაჭიროესი სავაჭრო საქონელი, როგორც მაგალითებრ: მარილი, ნავთი და სხვა. ამ დეპოს ექმნება საგნად აშორის ხალხს სიძვირე, ამას გარდა მას განუზრახავს კიდევ დაარსოს პურის მაღაზია, როგორც სხვა სოფლებშიაო. ვისურვებთ, რომ ყოველივე ეს გამოდგეს და მალე შესრულებულიყოს.

დამაკვირდი!

დედანი ვერ მოიგონებენ ისეთს სამკაულს, რომ იმდენად დაიმშვენონ თავი, რამოდენადაც სათნოება დაამშვენებს. (დე-ბლანში)

* * *

დედათა მჭევრ-მეტყველება დუმილია. (ბუასტი)

* * *

კაცისა უკეთესი სათავნო სირცხვილია. (სარგის-თმოგველი.)

* * *

შემწყნარებელი ობოლთა
მძლე ექმნეს თვისსა მძლეველსა.
(არჩილ მეფე)

* * *

ტრედთა ენათა გკრძალე,
კაცი გიყვარდეს ცნობილი;
მაბეზღართ ყოლე ნუ უსმენ,
სიტყვა ნუ გინდა გმობილი.
(მეფე ვახტანგ VI)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნალ «Русскій Архивъ»-ის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია რამდენიმე წერილი გარდაცვალებულ პროფესორ პოპოვთან. ყველაზედ უფრო ყურადღების ღირსი გამოჩენილის მწერალის კოშელევის წერილია. ეს წერილი დაცინვის კილოთია დაწერილი და კარგად ჰხატავს პეტერბურგის რეფორმატორ-მოხელებს. აი ეს წერილი:

> თქვენზე საჩივარი ისმის, ძვირფასო მეგობარო. ამბობენ, ვითომ თქვენ მონაწილეობას იღებთ გლეხების სვე-ბედის საქმეში და ისეთ იურიდიულ სიბრძნეს შესდგომიხართ, რომ ყველა კაცი ღმერთმა იხსნას ამ გვარის სიბრძნისაგანაო. ამბობენ, ვითომ ამ საქმისთვის თქვენ თითქმის თხუთმეტ ტომს წესდებულებას ამზადებდეთ. ამ წესდებულებაში დაწვრილებით იქნება მოხსენებულიო, როგორც უნდა დააცემინონ ცხვირი გლეხებმა, ან ერთი ერთმანერთს როგორ უნდა მიესალამნენო. იცით მეგობარო! მე ძალიან მეშინიან თქვენის პეტერბურგულად მოხანხლულ საქმეებისა. ოჰ, თუ ეს ბატონი მოხელები ამასთან პეტერბურგელნი და მეტადრე ნასწავლნი კანონების შეთხზვას შეუდგებიან,—უნდა ვიცოდეთ რომ კარგი არა გამოვარა, უბედურების მეტი! ეცადეთ, რაც შეიძლება თქვენი საქმე ნაკლულევანი, უვარგი და უსრული გამოვიდეს. თუ თქვენის ხელიდამ რაიმე სრული ქმნილება გამოვიდა,—მერწმუნეთ ეს ჩვენი უბედურება იქნება.

მერე ბ-ნი კოშელევი თავის შინაურ საქმეებსა, სოფლების ყოფა-ცხოვრებაზე, დროს გატარებაზე ლაპარაკობს და ბოლოს ისევ თავის გაწყვეტილს აზრს განაგრძობს:

> მერწმუნეთ, მაგ პეტერბურგში ხან-დახან ისეთს რასმე მოსჩმახნით, რომ თავსა-და-ბოლოს დაგვაკარგვინებთ ხოლმე. აი ეხლაც! როგორ მოგიწყვიათ ეს ფინანსიური საქმეები? ეს საქმე წინად ცუდად იყო, ძალიან ცუდად, მაგრამ ეხლა ათასჯერ უფრო ცუდად წავა. იცით,—უმეცარი მოხელე ვაია და მსწავლული—ვაგლახია. ვშიშობ, თქვენი მსწავლული მოხელეები ისეთ რასმე შესთხზავენ, რომ მისი გაგება უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ეგვიპტის ჰიეროგლიფებისა. არ გეგონოთ რომ ჩვენ ჩვენს თავს თქვენზე ჭკვიანათა ვთვლიდეთ. არა, ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენ ამ გვარ სისულელისაგან. თქვენ ჭკვიანები ხართ, ძალიან ჭკვიანები; მხოლოდ სასაცილოა ის ადგილი, რომელიც თქვენ გიჭირავთ, რომელიც თქვენ გარე გარტყიათ და სადაც თქვენ მოღვაწეობთ; სასაცილოა აგრეთვე ის საშუალება, რომელსაც თქვენა ხმარობთ და უფრო სასაცილოა თქვენი წადილი და განზრახვა. თქვენ გგონიათ, ვითომ პეტერბურგიდგან შეგეძლოთ მთელ ცხოვრებას თვალი გადაავლოთ. რაც უფრო ნაკლებ დასწერთ, გადასჭრით, გადმოსჭრით მით უფრო უკეთესი იქნება; ყველა თქვენი მეტი სიტყვა, წესი და კანონი, მეტს ბრალს დაგდებთ თქვენ.

* * *

იმავე ჟურნალში შეგვხვდა წერილი ბ-ხ სტახოვიჩისა, რომელიც ისეთი ნიჭიერი იყო, რომ დიდს იმედს იძლეოდა და უდროვოდ კი დაიღუპა. ამ წერილში სხვათა შორის მოყვანილია საუბარი, რომელიც სტახოვიჩს გამოჩენილს მწერალს ხომიაკოვთან ჰქონია. ერთხელ, ამბობს სტახოვიჩი, ლაპარაკი ჩამოვარდა აწინდელ ცხოვრებაზეო და ხომიაკოვმა სხვათა შორის ჰსთქვაო:

> — საკვირველია, თავიდამ არა მშორდება შემდეგი აზრი: რა საშუალება უფრო უკეთესი იქნება, რომ ჩვენი ცხოვრება განვაკარგოთ. მე სრულიად უვარგისი მგონია ის საშუალება, რომელიც სხვას საუკეთესოდ მიაჩნიაო. მე ამაზე ვუპასუხეო, რომ ყოველი ახლად აღმოჩენილი საშუალება უვარგისი იქმნება მეთქი.
>
> — «მაშ გულ-ხელი დავიკრიფოთ და უსაგნო ფიქრებს გამოვუდგეთო», მიპასუხა ხომიაკოვმა.
>
> — არა, მე მგონია, რომ სხვა გზა უფრო გამოსადეგია: ჯავრის მოსვლა იმის გამო, რაც რიგზე ვერ მიდის-მეთქი.
>
> — ჯავრი—უარყოფითი გრძნობაა, ამისაგან სიკეთე ვერა გამოვარაო.
>
> — გულ-მტკივნეულობა-ღა? ეს ხომ ცხოველი გრძნობაა! ეს გრძნობა ისცემს რასმე შველას ჩვენ მდგომარეობას?
>
> — დიახ, ეს გრძნობა უფრო უკეთესი საშუალებაა, მეტადრე ჩვენ საზოგადოებაში; ჩვენში ისიც კი, ვინც ერთს ცრემლს მაინც გადმოაგდებს თვალიდამ, გმირად ითვლება.

ჩვენის ფიქრით, ცრემლი ვერაფერი მალამოა საქმის წარმატებისათვის, მით უფრო, რომ ხშირად ნამდვილ ცრემლს კროკოდილოს ცრემლიდამ ვერ გაარჩევ. მაინც-და-მაინც ჩვენ ცრემლს ვარჩევთ ლანძღვა-გინებას, რომელიც ზოგიერთს ლიტერატორებს საქმედ მიაჩნიათ

* * *

ახირებული და უცნაური განდეგილი გამოჩენილა კიევში. ეს განდეგილი თურმე ყმაწვილი გიმნაზიელია, ვიღაც პეტრე ზვერევი, რომელიც ამ ხანებში კიევში მისულა და ლავრის სასტუმროში ჩამამხდარა.

მოსვლის მეორე დღესვე, —ამბობს გაზეთი «Заря», ეს ახლად-მოვლენილი განდეგილი ერთ ბერთან მისულა და უკითხავს: ვის მივმართო, ბერათ მინდა შედგომაო. ბერი ამ პატარა გიმნაზიელის სიტყვებს ძალიან გაუკვირვებია და უკითხავს: ვინა ხართ, საიდამ მოჰსულხართ და ან ვინ არიან თქვენი მშობლებიო? მე ქალაქ ეკატერინოსლავიდამა ვარო, უთქვამს გიმნაზიელს; მამა ჩემიც იქა სცხოვრობსო, მე აქ იმიტომ მოვედი, რომ ბერად შესვლა მინდაო. ჩემი მშობლები «ძველ რჯულს» აღიარებენო; მე მიტროპოლიტს მინდა ვთხოვო, ისევ მართლ-მადიდებელი გავხდეო, და მერე ბერობას შევუდგეო. ეს ამბავი პოლიციისთვის შეუტყობინებიათ. პოლიციასაც ყმაწვილის მშობლებთან დეპეშა გაუგზავნია და ჯერ პასუხი არ მიუღია. ყმაწვილი ჯერ ისევ აქაო.

საყურადღებო მოვლენაა! ნუ თუ ესეც დროების ნიშანია!

უცხოეთი

ინგლისი. გლადსტონს მინისტრთა კრებაზე მოკლედ წაუკითხავს თავისი პროექტი ირლანდიის საქმის თაობაზე. ბევრი ლაპარაკია თურმე ეხლა ინგლისში ამ პროექტის გამო. გლადსტონს ძალიან გავლენიანი და მდიდარნი ინგლისელნი ეღობებიან წინ და ხელს უშლიან იმ დიდის საქმის გადაწყვეტაში, რომელსაც ირლანდიის გაჭირება ჰქვიან. მოწინააღმდეგეთ არ მოსწონთ, რომ პროექტის თავი და ბოლო დაწესდეს ირლანდიისათვის ცალკე პარლამენტი და მიწა გამოსყიდულ იქმნას ირლანდიელ მიწად-მფლობელთაგან უმამულოთათვის დასარიგებლად. ჩამბერლენს, უმწვერვალესის დასის მეთაურს, უთქვამს რომ თუ გლადსტონის განზრახვა შესრულდა, დიდად საშიში იქმნება ეგ საქმე დიდის ბრიტანიისათვის და ვერც ირლანდიას უშველის რასმეო. ამბობენ, რომ გლადსტონს მოუმხრია დედოფალი. დედოფალი ძალიან უარზე

* * *

სვანის ოჯახი მრავალ რიცხოვანი იყვნენ და ახლაც მოიპოვებიან ისეთი ოჯახები, სადაც 50 სულამდე ითვლება. მიზეზი უკანასკნელისა ის იყო, რომ სვანს საზოგადოდ ძლიერ ეზარება გაყრა. როდესაც ოჯახის წევრნი გაიყრებიანო, ამბობენ სვანები, მაშინ მათს კერაზე (ცეცხლზე) წყალი ისხმებაო, ე. ი. ოჯახი ქრებაო. ოჯახს ის ურჩევნია რამდენიმე წევრი მოუკვდეს, ჟამი ეწვიოს, მინამ გაიყაროსო, ამბობენ იგივე სვანები. ამ აზრისა იყვნენ სვანები უწინ და უმეტესს ნაწილად ახლაც მაგაზე დგანან, ხოლო სამწუხაროდ დროს მაინც თავისი მოაქვს და კაცი ამჩნევს, რომ სვანის ოჯახიც თან-და თან ირყევა. უწინ მამის სიცოცხლეში შეუძლებელი იყო ძმების გაყრა; მამის სიკვდილის შემდეგაც მკვიდრი ძმები ასში ერთხელ თუ გაიყრებოდნენ. შეხვდებოდით და იქააქა ახლაც შეხვდებით ისეთს ოჯახებს, სადაც ოჯახის წევრები ისე დაშორებიან ერთმანეთს ნათესაობაში, რომ შეუძლიანთ ერთი მეორეს მიათხოვონ ქალიშვილები. სვანის ოჯახში სრული უფროს-უმცროსობა სუფევს: ხნით უფროსი უფლებითაც (*dejure*-ც) უფროსია; ამისათვის შვილები დედმამის მორჩილნი არიან, უმცროსი დები და ძმები დედ-მამის შემდეგ—უფროს და ძმებისა.... ყოველ გვარი მეთაურობა ოჯახში მამის უფროსის საქმეა. ოჯახის უფროსია (ქორა მახვში) ღვთისა და კაცის წინაშე პასუხის მგებელი; მისის პირით ევედრება ოჯახი ღმერთს, შენდობას უთვლის მიცვალებულთა, მისის ხელით იკვლის და შეიწირვის მსხვერპლი; იგი აძლევს მტერსაც და მოყვარესაც პასუხს სიტყვით, თუ საქმით; იგი უჩვენებს ოჯახს წესს და რიგს: უნაწილებს ოჯახის წევრებს საქნარ—სამუშაოს; აქებს ოჯახის მუყაით წევრებს, სტუქსავს ზარმაცობს, ბრიყვებს და სხვა-და-სხვა. ასეთი უფლება აქვს ოჯახის უფროსს და კიდევაც მოვალეა აასრულოს. მაგრამ ყოველი ხნით უფროსი ვერ გასწევს ამ საქმეს, ვერ იუფროსებს და მაშინ კი ხნიერობამ ჰკუას უნდა დაუთმოს ადგილი, ე. ი. ხნით უფროსმა უმცროსს: შვილს, ძმას ან სხვას უნდა გადასცეს თავისი მოვალეობა ოჯახის შესახებ. ხოლო რჯულის წესთა ასრულება,—რაც უნდა სუსტი ყოფილიყო ოჯახის მეუფროსე ხნით, მაინც მის ხელში უნდა დარჩენილიყო უნაკლულოდ. ნათქვამიდამ ის გამოდის, რომ რის ასრულებაც ოჯახის უფროსს შეეძლო, მაში მოცილე არავინ არა ჰყავნდა. რასაც ვერ შესძლებდა—მის მოვალეობას ასრულებდა ოჯახის წევრი, შვილი იქნებოდა თუ ძმა, საქმისთვის სულ ერთი იყო. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სვანეთში უფროსებს — მაგალითებრ, დედ-მამას შვილებზე ისეთი განუსაზღვრელი და განუკითხველი უფლება არა ჰქონდათ უმცროსებზე, როგორიც ჰქონდათ და აქვსთ ზოგიერთ მთიულ ხალხებს კავკასიაში. აქ მკითხველი ალბათ მიმითითებს ერთს საზიზღარს მოვლენაზედ, რომელიც ზნეობითს ჩირქსა სცხებს სვანებს:—მე მოგახსენებთ ქალიშვილების ხოცვაზე სვანეთში. ეს სამწუხარო მოვლენა რომ არსებობდა სვანეთში,—მაგის უარის ყოფა არ შეიძლება, მაგრამ საჭიროა აქ ისიც ითქვას, რომ ეს სამწუხარო მოვლენა არც ისე ხშირი იყო, არც იმ მიზეზიდგან წარმოსდგებოდა და არც ისრე დაუსჯელი რჩებოდა, როგორც ერთის ხმით ბრძანებენ სვანეთში ყოფილი მოგზაურები, როგორც გარე-მთიელები და რუსები, ისრე ჩვენებურებიც. მაგაზე ლაპარაკს აქ არ განვაგრძობ, რადგანაც სხვა უფრო მარჯვე დროს ცალკე წერილში და ვრცლად გავაცნობ მკითხველებს ამ საქმეს. ვიტყვი კი რომ ქალიშვილების ხოცვა წინააღმდეგი მოქმედება იყო ჩვეულებითის მართლიერებისა და ამ ბარბაროსულის საქმის ჩამდენი დედა განსაზღვრულს სასჯელს ექვემდებარებოდა. მაგალითებრ, ქალიშვილის მკვლელს დედას ხალხი არ მარხავს ნაკურთხს მიწაზე, ეკკლესიების და სალოცავების ახლო არ გაარონიებდა, მსხვერპლის შეწირვის დროს მონაწილეობას არ აღებინებდა; მისი ბაგენი ვერ ახსენებდნენ ღვთის სახელსაც, არა თუ ვედრებას. ხალხის თვალში ქალიშვილის მკვლელი დედა თითით საჩვენებელი იყო; მის შვილებს და შვილი-შვილებს საუკუნო საძრახად ჰრჩებოდათ ეს საქმე. სახალხო სამღრთო დღესასწაულებში მკვლელი დედა ვერ დაესწრებოდა და სხვ. მკვლელი დედა რაც შეიძლებოდა ჰმალავდა თავის ბარბაროსულს საქმეს. ნუ თუ ბბ-ნი მოგზაურების აზრით ზემორე ნაჩვენები სასტიკ სასჯელს არ შეადგენს ქალიშვილის მკვლელ დედისათვის?.... მამას არა აქვს უფლება მოჰკლას, ან გაჰყიდოს შვილი, და გალახვისა და დატუქსვისათვის კი არავის წინაშე პასუხის მგებელი არ არის. დედ-მამა პატარა ქალიშვილს უკანასკნელის დაუკითხავად გაათხოვებს; მოზრდილ ქალიშვილს კი ეკითხებიან, თუმცა დედ-მამის სურვილი აქაც გადააჭარბებდა ხოლმე. იმისი მაგალითიც ბევრია, რომ ქალიშვილი თავის ნებით, დედ მამის წინააღმდეგ გაჰყვება საქმროს. მართალია, დედ-მამას სწყინს ამ გვარი ურჩობა ქალიშვილისა, მაგრამ გვიან იქნება თუ ადრე ქალიშვილს მაინც შეირიგებს და ხვედრს წილს ვერ დაუკარგავს ოჯახიდამ. ვაჟი-შვილს დედ-მამა უნიშნავს საცოლეს. თუ საცოლეს რაიმე მიზეზი გამოაჩნდა, დედ-მამა ძალას ვერ დაატანს ვაჟიშვილს, რომ მაინც-და-მაინც მათი დანიშნული შეირთოს. დედ-მამის ურჩი, გაუგონელი, მათის სიტყვის შემაბრუნებელი (მეტხიელ) შვილი გამოწირულია, შერცხვენილია სოფელ-ქვანაში. დაძმათა დამოკიდებულება ერთმანეთში ისეთივე იყო სვანეთში, როგორც საზოგადოდ საქართველოში. ვაჟიშვილები უფრო მამის ხელში იყვნენ, ქალიშვილები დედისა. საბოლოოდ მშობლებს ვაჟი-შვილები ურჩევნიათ. ეს ერთი—სხვათა შორის—იმიტომ, რომ სვანეთში გადაშენება დიდ უბედურებად ითვლება და ქალიშვილების პატრონი დედ-მამა გადაშენებულად ირიცხებოდა, რადგანაც მამაპაპეული სხვის ხელში უნდა გადასულიყო. უძრავი და მოძრავი ქონება რაც იყო და რასაც ოჯახის რომელიმე წევრი შემოიტანდა, საოჯახო ქონებას ემატებოდა და იყო საერთო. როგორც მამა-კაცების მუშაობა საერთო იყო ოჯახისა, ისე ქალების მუშაობაც; ქალები ჰმოსავდენ მთელს ოჯახს საჭიროების მიხედვით, ე. ი. პირველად მას ჩააცმევდენ, რომელს წევრსაც უფრო ეჭირვებოდა და მერმე რიგ-რიგით დაჰყვებოდნენ.

სვანი

თურმე იდგა, მაგრამ მერე დასთანხმდა: რაც იყოს იყოს და მაგ საშიშარს საცდელსაცა გსცდი პირველის მინისტრისასა და თუ საჭირო იქნება პარლამენტსაც დავითხოვ და ახალს არჩევანებს დავნიშნავო.

* * *

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

იმედი მაქვს არ დაიშურებთ მცირეოდენს ადგილსა გაზეთის «ივერიისასა» სიმართლის აღსადგენად და ჩემის თავის გასამართლებლად.

თქვენის «ივერიის» (№ 33) «ახალ ამბავში» სწერია, რომ საგორო მამულში სოფ. რეხის მცხოვრებლებს დასხდომია ვითომ ოსი მარღიშვილი, რომელსაც ჩემის სახელით შეუტევია გლეხებისათვის; თუმცა გლეხებმა თავი იმართლეს არ ცოდნითაო, მაგრამ ულმობელმა ოსმა თავისი არ დაიშალა და საქმე გათავებულა მითი, რომ ოსს მოუკლავს საბრალო გლეხი. ამაზე გაუწყებთ რომ მე მყავს საკუთარი მოურავი, რომლის გარეშე სხვას, ე. ი. სხვა ჩემს მოსამსახურეთაგანს არა ვითარიმე ნება არა აქვს მამულის საქმეში გაერიოს და ვერც გაერევა. ოსი მარღიშვილი არც ჩემი მოურავია ეხლა, არც როდისმე ყოფილა და არც იქნება. იგი ჩემს მოსამსახურეთაც არა ყოფილა და მაშასადამე ვერც ჩემი სახელით გაბედავდა ბრძანებას (*sic*?). თუ მას კაცი შემოაკვდა—ეს მე რად უნდა მედებოდეს კისერზე (?) და მე რად უნდა ვიხსენებოდე ამბავის მომწერისაგან გაკიცხვით (?). მაგრამ, ბ. რედაქტორო, იმ სტრიქონებიდამ, რომლებშიაც «ახალი ამბავის» ავტორი დასძენს, რომ მარღიშვილი ვითომ ჩემი კაცი იყოს, გამოსჭვირს პირ-და-პირ ბოროტი განძრახვა ავტორისა, ავნოს რითიმე ჩემს პიროვნობას. შეურაცხყოფილს გხედავ ამითი ჩემს თავს და ამიტომ მოგმართეთ თავის გასამართლებლად და ჭეშმარიტების აღსადგენად. *)

თ. კონსტანტინე ამილახვარი

1886 წ.
8 მარტი.

* * *

სხვა-და-სხვა ამბავი

ქალების განათლება ალჟირში. დოქტორმა ბონნაფონმა (*Bonnafont*) შარშან გამოსცა მეტად საყურადღებო წიგნი «*Pérégrinations en Algérie*», სადაც მშვენივრად არიან აღწერილნი ზნენი და ჩვეულებანი ალჟირის არაბებისა. როგორც ექიმს, ავტორს ხშირადა ჰქონდა შემთხვევა თვალყური ედევნებინა არაბების შინაურის ცხოვრებისათვის და არაბის ქალების მდგომარეობისათვის შინა და გარედ. ის აცნობებს მკითხველებს აგრეთვე არაბებისაგან შვილების აღზრდას. ავტორს მოჰყავს ის საძირკველი პედაგოგიურის მოთხოვნილებისა, რომელზედაც არის დამყარებული იქ შეძლებულის არაბის ქალის აღზრდა, რომელიც ამას გარდა გვიჩვენებს კიდევ როგორ ეჩვევა დედაკაცი აღზრდის შემწეობით მამა-კაცის თვით უბრალო ყინის ასრულებასაც-კი. აი ზოგიერთი ამ აღზრდის საგნები:

1) იმარე ის, რასაც ჰგმარობს შენი ქმარი და იმის წინაშე ნუ დაარღვევ დუმილსა და მშვიდობიანობას.

2) ეცადე მიეჩვიო ქმრის უთქმელად დამორჩილებას.

3) ყურადღებით მოეპყარ ყველას, რასაც კი შენის ქმრის თვალი იხილავს და ყნოსვა იგრძნობს. მისმა თვალებმა შენში არაფერი წუნი და ნაკლი არ უნდა ნახოს; მის ყნოსვას შენგან მხოლოდ დამატკბობი სურნელება უნდა მისდიოდეს. იცოდე, რომ კოგელი (ერთი მშვენიერ ყვავილთაგანია) ქალის ერთი საუკეთესო დამამშვენებელთაგანია და წყალი ყველაზედ უკეთესი სურნელება.

4) მზად იყავი ყველაფერი მისი ნება აასრულო; შეურყეველი დუმილი და მშვიდობიანობა უნდა სუფევდეს, როდესაც მასსა სძინავს.

5) რიგიანად უგდე ყური ქმრის სახლსა და საცხოვრებელს. იყავი ნაზი და მორჩილი ქმართან და აგრეთვე მის ნათესავებთან და სხვებთან.

6) არასოდეს არ გაამჟღავნო არც ერთი საიდუმლო შენის ქმრისა და უფრთხილდი, არაფერი უსიამოვნება და წინააღმდეგობა არ გაუწიო შენს ქმარს რაშიაც უნდა იყოს.

7) ეცადე, ჩემო შვილო, არ იყო მხიარული, როდესაც შენი მეუღლე დაღონებულია და დაღონებული—როდესაც ის მხიარულია, იმიტომ რომ პირველს შემთხვევაში შენი სიხარული მას გულს უწყლავს და მეორეში—მწუხარება აღონებს.

8) ეცადე ყოველთვის აქო და აღამაღლო შენი ქმარი უცხოთა წინაშე, და ისიც თავის მხრივ ეცდება რიგიანად და ღირსეულად მოგეპყროს.

9) დასასრულ, საყვარელო შვილო, ნუ იზამ იმას, რაც შენ გიყვარს და ან მოგწონს, ვიდრე უწინარეს შენი ქმარი არ დაიყოლიო შენის სურვილის სასარგებლოდ; მიზდიე ამ წესს ყოველისფერში მოგწონდეს, თუ არ მოგწონდეს იგი და ღმერთი სამაგიეროთ კეთილს გადაგიხდის.

—

როგორ უნდა მოიყვანოს უკურკო ალუბალი.—უნდა ალუბლის კურკა ჩაიფლას მიწაში. ჩაფლვის მეორე წელიწადზედ ამოვა ახალი ნორჩი ყლორტი, რომელიც მარტის ნახევარში შუაზე უნდა გააპოთ—თავიდამ ფესვებამდის ორ-ნაწილად და ფრთხილად ჩხირით გული ამოაცალოთ? როდესაც გულს ამოიღებთ, ორივე ნახევარი უნდა შეჰკრათ ფეიგანდით და განაპობი ადგილი ბალის წებოთი ამოლესოთ. როდესაც ნახევრები შეეწებებიან და შეერთდებიან, ფეიგანდი უნდა შემოხსნათ. ეხე გაზდილი ხე უკურკო ალუბალს მოისხამს.

—

როგორ უნდა შეინახოს ხაზამდროდ ხილეულობა. უნდა კარგად გაიწმინდოს ტილოთი ყოველი ნაყოფი მსხალია, თუ ვაშლი, შემდეგ გამდნარ ფუტკრის ფიჩში უნდა ამოავლოთ, გაახვიოთ რაშიმე რბილში, ბამბაში ან ქაღალდში და ჩააწყოთ ყუთში. ხილი ადრევე გაუფუჭებელნი უნდა აარჩიოთ. ამ გვარად შენახული ხილი, თუ გინდ მთელს ზამთარსაც გაჰსძლებს.

—

საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთების რიცხვი. 1885 წლის 1 იანვარს საფრანგეთში 4,092 ვადიანი გამოცემა არსებობდა. ამ რიცხვში 1,586 გამოდიოდა პარიჟში და 2,506 დეპარტამენტებსა და კოლონიებში. 1884 წელს 473 ახალი ჟურნალ-გაზეთი გამოსულა, მაგრამ თითქმის ამდენივე მოსპობილა, რადგანაც ბევრს «ახალ-დაბადებულს» არსებობის ძალა აღარა ჰქონია. 87 გარდა, ყველა პარიჟის გაზეთები და ჟურნალები რესპუბლიკებურს მიმართულებას ადგანან. 2,506 პროვინციალურს ორგანოში მხოლოდ 1,360 გამოცემაა საპოლიტიკო, დანარჩენიც—878 რესპუბლიკებურს მიმართულებას ადგას და 824 მონარხიულს.

* * *

დეპეშა

9 მარტს

პეტერბურგი. ვარშავსა და ვილნის შუა რკინის გზა გაიხსნა, ბერესტსა და ბელოსტოკის შუა კი ქარიშხლების გამო ისევ შემდგარია.

ათინა. ომის ატეხის სურვილი ძლიერდება; სამზღვარს ბლომა თოფიარაღი იგზავნება, თესალიაში ციხეებს ამაგრებენ.

სოფია. დღეს მინისტრთა კრებას მსჯელობა ექმნება ოსმალ-ბოლგარიის ხელთ-შეკრულობის თაობაზე. ჯარს თოფ-იარაღს ხსნიან.

ხარკოვი. სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ბაქტეოროლოგიური სტანცია გამართა საქონლის ჭირის და ციმბირის სენის გამოსაკვლევად.

ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკმა უკვე დაიწყო ფულის გახსნება 6¼ სარგებლით და შუამდგომლობს ნება დართონ ამას იქით ასზედ ექვსი იღონ თავნსა და სარგებელში.

10 მარტს

სოფია. მთავარს არა სურს ხელი მოაწეროს ოსმალთ-ბოლგართა შეცვლილს ხელ-შეკრულობაზედ და იმაზედ სდგას, რომ აღმოსავლეთ-რუმელიის გენერალ გუბერნატორად დანიშნულ ვიქმნე უვადოთაო:

ბრიუსელი. ჟემაპპში უწესოება მომხდარა ასე, რომ მუშებს და ჟანდარმების რაზმსა ერთმანეთზედ საკმაოდ ძლიერ ხელი გამოუღიათ.

* * *

«ივერიის» ფოსტა

ფ—ის გ. მ. გ—ნ ს. და ა—ხეს ბ. ზ—მეს. თქვენგან გამოგზავნილები მივიღეთ. თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

გარმიას ბ—ლ მონოზონ კ—ტეს. წესად არ არის მიღებული, რომ ერთ გაზეთ-ჟურნალში დაბეჭდილი სტატია მეორემ გადაბეჭდოს მთლად.

სოფ. ვეჯინის ნ. რა—ლს. ჩვენ აღტაცებულნი ვართ თქვენის წინანდელ ლექსების გამო, ხოლო უკანასკნელი ლექსი, ჩვენის ფიქრით, მოკლებულია თქვენის პოეზიის აშკარა ღირსება. ალმასთან ჭიკა, გვეზარებოდა დაგვეყენებინა. რადგანაც გსურსთ თქვენს უკანასკნელს ლექსსაც დავბეჭდავთ და გთხოვთ სამუდამოდ «ივერიას» შვენება თქვენის ლექსისა არ მოაკლოთ.

გ—რს. მეჯვრისხევის სკ. მ—ბელს თ. კ—ლაკს კვიტანციაში შეცდომით არის მოხსენებელი 1 ოქტომბერი. მაგ ნომრებს, რომ უკანვე გამოგვიგზავნიდეთ, კარგს ინებებდით რადგანაც რედაქციაშიაც ცოტა გვაქვს წარსული ნომრები. ფოსტის ხარჯს მოგართმევთ.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუჳ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ—478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ—42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა — 23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

11 დღე სამშაბათი. წმ. სოფრონისა. კათ. ევდოკისა და პელაგიასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—6—39. ტფილისში მზე ამოდის 5—58. ჩადის 6—16. მთვარე ამოდის 10—3 ღ. ჩადის 7—48.

12 დღე ოთხშაბათი. ღირს. თეოფანესა კათ. გრიგოლ დიდისა და ტიმერისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—6—20. ტფილისში მზე ამოდის 5—57. ჩადის 6—17. მთვარე ამოდის 11—14 ღ. ჩადის 8—22.

13 დღე ხუთშაბათი. ნიკიფორე პატრიარხისა კათ. ეკატერინესი. ჭეშმარიტი შუა დღე 12—6—2. ტფილისში მზე ამოდის 5—55; ჩადის 6—18. მთვარე ამოდის 12 ღ. ჩადის 9—10.

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3 »
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი	
სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

* * *

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
თაბუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

„თამარ ცბიერი“

ისტორიული დრამატიული პოემა
აკაკისა,

ისყიდება მორიჯის ბიბლიოთეკაში, გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლში და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი ათი შაური.

(10—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1886 годъ
НА ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(Ш ГОДЪ ИЗДАНІЯ).

выходитъ ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.
Газета въ 1886 году будетъ выходить подъ прежней редакціей по прежней программѣ, при участіи тѣхъ-же сотрудниковъ.

подписная цѣна съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ	10 р.	—к.	На 6 мѣсяцевъ	6 р.	—к.
» 11 »	9 »	50 »	« 5 »	5 »	25 »
» 10 »	8 »	75 »	« 4 »	4 »	75 »
» 9 »	8 »	— »	« 3 »	3 »	50 »
» 8 »	7 »	25 »	« 2 »	2 »	75 »
» 7 »	6 »	50 »	« 1 »	1 »	50 «

За границу на годъ 17 руб., на полгода 9 руб. 50 коп.

За перемѣну адресовъ уплачивается: иногороднаго на иногородный—40 к., городского на иногородный—1 руб.

Подписка принимается не иначе, какъ съ перваго числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія; на всѣхъ языкахъ, принимаются въ Тифлисѣ - въ конторѣ редакціи, при газетномъ агентствѣ Шавердова; въ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“. Иногородные адресуютъ свои требованія въ г. Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія“, при агентствѣ Шавердова.

Статьи и корреспонденціи адресуются въ Тифлисъ, въ редакцію «Новаго Обозрѣнія». Принятыя статьи могутъ подлежать сокращеніямъ и поправкамъ. Мелкія рукописи, размѣромъ не болѣе двухъ писанныхъ листовъ, не возвращаются. Прочія возвращаются по личнымъ требованіямъ авторовъ и сохраняются только въ теченіе одного мѣсяца. Ни въ какую переписку по поводу напечатанія или ненапечатанія присланныхъ статей редакція не входитъ. статьи, доставленныя безъ опредѣленныхъ условій гонорара принимаются какъ безплатныя. Редакція открыта для личныхъ, объясненій отъ часу до двухъ по полудни.

(9—8)

---

*) ჩვენ გვაკვირვებს, რად შეწუხებულა ასე პატივცემული თ. კონსტანტინე ამილახვარი. იმ შენიშვნაში, რომელზედაც თავადი უთითებს, სრულიად არაფერი არა ყოფილა-რა მისი შესახები გარდა იმისა, რომ ვიღაც მთვრალს ოსს მისი სახელი უხსენებია. რედ.

Дозволено цензурою Тифлисъ 10 Морта, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასპრნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.